საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 225

2019 წ. "03" 12

ქ.თბილისი

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

თავმჯდომარე

მდივანი

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 12 ივლისს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №943926 (ცენტრში რეგისტრაციის №944507) სააკრედიტაციო განაცხადი „ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 17 ივლისის №613 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 23 სექტემბრის №874 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 30 სექტემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ხოლო 2019 წლის 28 ნოემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

თავმჯდომარე

მდივანი

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2019 წლის 03 დეკემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2019 წლის 12 ივლისის №943926 (ცენტრში რეგისტრაციის №944507) სააკრედიტაციო განაცხადი დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2019 წლის 03 დეკემბრის №63 სხდომის ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს (2019 წლის 06 დეკემბერი).

5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში

სხდომის თავმჯდომარე — გიორგი ამილახვარი

საბჭოს მდივანი — ნინო ლიპარტია

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ფარმაციის მენეჯმენტი
2	სტატუსი[2]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 21 ოქტომბერი, №136; ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 10 სექტემბერის №66 გადაწყვეტილება
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	ფარმაციის მენეჯმენტი
5	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	მაგისტრატურა
6	კვალიფიკაციის დონე[5]	მეშვიდე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	„-----„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
10	კვალიფიკაციის კოდი[7]	0203
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
13	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო 0186, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, IV სასწავლო კორპუსი
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2019 წლის 06 დეკემბერი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	„----„
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2026 წლის 07 დეკემბერი

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი